

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №9 სექტემბერი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

8(21) — შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა მარიამისა



ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვისათვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს, იოაკიმეს პირველს შეეწირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს.

დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუსაკეცდა და მიაშურა უდაბნოს. იქ სახელდახელოდ აგებულ კარავში ორმოცი დღე და ღამე გაატარა უჭმელ-უსმელმა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. მაშინ მას ანგელოზი გამოეცხადა და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა. მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეეწირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. როცა მარიამი ერთი წლის გახდა, მშობლებმა მიცემული აღთქმისაებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბიწო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი, უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩაბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

29(11.09) თავისკვეთა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი

გალილეის მმართველმა, ჰეროდე ანტიპამ იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩააგდო. წმიდა წინასწარმეტყველი ჰეროდეს დაუფარავად ამხელდა კანონიერი ცოლის, არაბეთის მეფის, არეთას ასულის დაგდებასა და თავისი ძმის ფილიპეს მეუღლესთან, ჰეროდიადასთან უკანონო თანაცხოვრების გამო.

ჰეროდემ თავის დაბადების დღეს დიდებულებს, უხუცესებსა და ათასისთავებს ვახშამი განუმზადა. ჰეროდიადას ასული სალომეა როკვიდა სტუმრების წინაშე, რითაც ჰეროდეს დიდად ასიამოვნა. მოხიბლულმა მმართველმა ქალს ფიცით აღუთქვა, რომ უბოძებდა ყველაფერს, რასაც ითხოვდა, თუნდაც ნახევარი სამეფო ყოფილიყო. ბილწმა მოცეკვავემ თავისი ბოროტი დედის, ჰეროდიადას შეგონებით, ლანგარზე დადებული იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა. ჰეროდე დამწუხრდა — ეშინოდა ღვთის რისხვისა იმ წინასწარმეტყველის მოკვლისათვის, რომელსაც ადრე თავადვე უსმენდა. მაგრამ არ ისურვა დაერღვია სტუმრების წინაშე დაუფიქრებლად დადებული ფიცი და ბრძანა, წმიდანისათვის თავი მოეკვეთათ და სალომეასთვის მიერთვათ. გადმოცემით, სინანულის ქადაგის მოკვეთილი თავის ბაგეები კიდევ ერთხელ განიხვნა და წარმოთქვა: „ჰეროდე, შენ არ უნდა გესვას შენი ძმის, ფილიპეს ცოლი“. სალომეამ ლანგარი თავის დედასთან მიიტანა. გახელებულმა ჰეროდიადიამ ნემსით დაჩხვლიტა წინასწარმეტყველის ენა და წმიდა თავი უწმინდურ ადგილას დაფლა. მაგრამ კეთილმსახურმა იოანამ, ჰეროდეს ეზოსმოძღვრის ცოლმა საწმიდე ამოთხარა, თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე დაკრძალა. იოანე ნათლისმცემლის წმიდა გვამი კი მისმა მოწაფეებმა იმავე ღამეს მიაბარეს მიწას სებასტიაში, იქ, სადაც ბოროტმოქმედება აღესრულა. წმიდა იოანეს მკვლელობის შემდეგ ჰეროდე რამდენიმე ხანს კიდევ აგრძელებდა მმართველობას. სახარებიდან ჩანს, რომ იუდეის მმართველმა, პონტოელმა პილატემ მასთან ბორკილდადებული იესო ქრისტე გაგზავნა, რომელიც შეურაცხყო ჰეროდემაც და მისმა ერმაც.

ღვთის სამსჯავრო ჰეროდეს, ჰეროდიადასა და სალომეასთვის მათი მიწიერი ცხოვრების დროსვე აღესრულა. სალომეას ზამთარში, მდინარე რიკოსისზე გადასვლის დროს, ყინული ჩაუტყდა და ქვეშ მოექცა. ყინულმა იგი ისე ჩაიჭირა, რომ ტანით წყალში იყო ჩაკიდული, თავი კი ყინულს ზემოთ ჰქონდა დარჩენილი. ასე ეკიდა მანამ, სანამ ბასრმა ყინულმა კისერი არ გადაუჭრა. გვამი ვერავინ იპოვა, ხოლო თავი კი, როგორც

ოდესღაც წმიდა იოანე ნათლისმცემლისა, ჰეროდესა და ჰეროდიადას მიუტანეს. არაბეთის მეფე არეთამ თავისი ქალიშვილის შერცხვენისათვის შური იძია, ჰეროდეს წინააღმდეგ გაილაშქრა. ჰეროდე დამარცხდა. განრისხებულმა გაიუს კალიგულამ (37-41) იგი შეიპყრო და ჰეროდიადასთან ერთად ჯერ გალიაში, შემდეგ კი ესპანეთში გადაასახლა, სადაც ისინი უეცრად გაპობილ მიწაში დაინთქნენ.

ჯვართამაღლება

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე — ცხოველმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (306-337) დროს.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმიდა ადგილების ხსოვნა, სადაც მაცხოვარი ევნო და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისათვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით „ამით სძლო!“ უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი ამ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ჭელნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი — კეთილმსახური დედოფალი ელენე. ნეტარი ელენე უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო, მაგრამ, ღვთის სიყვარულით აღძრული, ფრიად დაშვრა დიდი სიწმიდის ძიებაში. ბოლოს მხცოვანი იუდეველის, იუდას მეშვეობით იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი — სამი ჯვარი. რომ გაეგოთ რომელი იყო ცხოველმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მიცვალებული გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმინდის თაყვანსაცემად. ისინი პატრიარქ მაკარის სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რომ ყველას შესძლებოდა მისი დანახვა. მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ვედრებით: „უფალო, შეგვიწყალენ“, კრძალვით თაყვანს სცემდა მას. წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული ახლდა თან: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა.

წმიდა ელენე დედოფალმა მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები ტაძრებით შეამკო, ოთხმოცზე მეტი ეკლესია აშენდა. კონსტანტინე დიდის ბრძანებით დაიწყო ქრისტეს აღდგომის ტაძრის მშენებლობა, რომელსაც გოლგოთა და უფლის საფლავი უნდა მოეცვა. ტაძარი დაახლოებით ათი წელი შენდებოდა და იკურთხა 335 წლის 13 სექტემბერს. მომდევნო დღეს 14 სექტემბერს დაწესდა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღესასწაული.

გიული ჩქარეულის წიგნის პრეზენტაცია გიმნაზიაში

23 ივლისს წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში ჩატარდა მოხევე პოეტის — გიული ჩქარეულის წიგნის „დრო უშენობით სავსე“ პრეზენტაცია.

შეხვედრა გახსნა სიონის საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა გიორგი ფარეშიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე თბილისიდან მოწვეული სტუმრები, მწერლები, პოეტები, პროფესორები და ხელოვნების მუშაკები.

პოეტებმა, ტარიელ ხარხელაურმა, ერეკლე საღლიანმა, მამა თავმასმა, მანანა გელაძემ, თენგო ავსაჯანიშვილმა, ჯუბა ღბელმა, თამარ შაიშმელაშვილმა და სხვებმა თბილი მისასახლმებელი სიტყვებით მიმართეს ქალბატონ გიულის. წაიკითხეს როგორც მისი საკუთარი, ასევე მისდამი მიძღვნილი ლექსები.

მეცნიერმა ივანე ჯაფარიძემ მოკლედ განიხილა ხევის წარსულის ეპიზოდები. მანვე წაიკითხა მოხევე პოეტის ალექსანდრე გომიაშვილის ლექსი „მთის ბალადა“. მსმენელს გააცნო ამ ლექსის შექმნის ისტორია და ქალბატონ გიული ჩქარეულს უსურვა შემდგომი წარმატებები.

შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

გიული ჩქარეულს!

ა, ეს მამული გიხმობდა
შორს მყოფსაც, ჩემო გიული,
სადაც ლამაზად შერწყმია
მიწიერებას ღვთიური.

ზეცას რომ მხრებით შედგმიან
ეს მთები, დარბაისლები,
მათი კაცობის გვირგვინი —
ღღესაც თავს აკრავს ნისლები.

დიდ წინაპართა ძვლებია
მიწაში შენი ფესვებიც,
ფრთებია, შენი ფრთებია
ეგ მოშრიალე ლექსები.

ეს თერგი უფრო მოდიდდა,
საქართველოზე მწუხარი,
გვჯერა, მეორედ მოსვლის ჟამს
აქ მობრანდება უფალი.

ეს საოცარი ბუნება
მკაცრიც არის და მოწყალეც,
ქარი კლდეთ ებულბულება,
თერგთან ჯვარს იწერს სნოს წყალი.

აქ, სადაც დარიალია
და მადლი არი სამების,
ძალიან დიდი შანსი აქვს
კაცის შვით გაუკვირდების.

და მეც ამ ჩემი თერგივით
ვარ სამშობლოსებრ მწუხარი
მჯერა, მეორედ მოსვლის ჟამს
აქ მობრძანდება უფალი.

შენც ეს მამული გიხმობდა
შორს მყოფსაც, ჩემო გიული,
სადაც ლამაზად შერწყმია
მიწიერებას ღვთიური.

თენგო ავსაჯანიშვილი

ჩვენი ზაფხულის არდადეგები

ზაფხული ყველგან ლამაზია, მაგრამ ზაფხული ყაზბეგში განუმეორებელია. რამხელა სილამაზეს იტევს ეს მთები, ეს მყინვარი, ყური და ქაბარჯინა. ჰავა ხომ აქ არის საუკეთესო. ზომიერად თბილი ზაფხული ნამდვილ დასასვენებელ კურორტად აქცევს ყაზბეგს და ამბობენ, რომ მალე საქართველოს დასასვენებელ კურორტებს შორის ხევი პირველი იქნება, თუმცა არც ახლა აკლია ჩვენს კუთხეს დამსვენებელი. ვფიქრობ მათთან საურთიერთობოდ მომავალმა თაობამ კარგად უნდა ვისწავლოთ ინგლისური ენა.

წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით დამამახსოვრდა იმით, რომ ჩვენს რაიონში მიმდინარეობდა კინო-გადაღებები. მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს წილად გვხვდა მონაწილეობა მიგვეღო ამ გადაღებაში. კინოს სახელწოდებაა „Движение вверх“. კინოს შინაარსი ეხება 1972 წელს საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებას ამერიკაში, რომლის ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი იყო მიხეილ ქორქია. გადმოცემით გავიგე, რომ ამ დროს მომხდარა ტერორისტული აქტიც.

კინოგადაღებაზე ჩამოსულები იყვნენ ცნობილი ქართველი მსახიობები: მიხეილ გომიაშვილი, გუჯა ბურდული და სხვა. რუსეთიდან ჩამოსული იყო მსახიობი მაშკოვი, რომელიც რუსეთის ცნობილ მსახიობთა ხუთეულში შედის.

წელს, ზაფხულში უფრო გავაცნობიერე სილამაზის ფასი. მივხვდი, რომ ჩემი კუთხის შესწავლით უნდა დავიწყო საქართველოს შესწავლა. ფეხით უნდა მოვიაროთ გველეთის, ორუსოსა და ჯუთის ხეობები, ჩანჩქერები და ხევის სიწმინდეები. ასეთი ექსკურსიები კლასთან ერთად უფრო საინტერესოა, ამაში ვიცი, რომ კვლავ ხელს შეგვიწყობს ჩვენი გიმნაზიის ხელმძღვანელი, მეუფე იეგუდიელი.

წავიკითხე რამდენიმე წიგნი. სწავლის დაწყებამდე განზრახული მაქვს კიდევ ვიკითხო.

კარგად დავისვენე. სწავლის დაწყებას ახალი ენერგიით აღსავსე შევხვდები.

ნინო ქირიკაშვილი, გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე.

ზაფხულის არდადეგები ძალიან საინტერესოდ გავატარე. მეც სხვა გიმნაზიის ბავშვებთან ერთად დავისვენე ზღვაზე. მეუფე იეგუდიელის ინიციატივით ორი კვირით ბავშვები გავემგზავრეთ ქალაქ ქობულეთში დასასვენებლად, რისთვისაც მას ძალიან დიდ მადლობას ვუხდით. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ზღვაზე დასვენება ყველა ჩვენგანისთვის მართლაც დიდი განტვირთვა იყო. საზაფხულო ბანაკში დროს ხალისიანად ვატარებდით. აღმზრდელები ძალიან დიდ სითბოსა და ყურადღებას იჩენდნენ ჩვენს მიმართ. ისინი ძალიან ზრუნავდნენ ჩვენზე და ყველანაირად ცდილობდნენ, რომ გავეხარებინეთ. ყოველდღე გავდიოდით პლაჟზე, ზღვაში ვცურავდით, ვირუჯებოდით, ვთამაშობდით და ბევრს ვერთობოდით, საღამოობით ვახშმის შემდეგ ვიკრიბებოდით ერთად და საინტერესო ამბებს ვყვებოდით, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს შთაბეჭდილებებს. ვსეირნობდით გაშხირზე, დავათვალიერეთ ქალაქი. ჩვენი ფანჯრებიდან ზღვის ულამაზესი ხედი იშლებოდა. ყოველდღე ამ სილამაზის ყურებით ვტკბებოდით. ქალაქ ქობულეთში ორი კვირა ძალიან სახალისოდ და საინტერესოდ გავატარეთ. იქ გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება. სასურველი იქნება, რომ ყველა ბავშვს მიეცეს ზღვაზე დასვენების შესაძლებლობა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო მეუფე იეგუდიელს ჩვენზე ზრუნვისა და ხალისიანი დასვენებისთვის, რომელიც მისი საშუალებით მოგვეცა.

თამუნა ქუმაშვილი
გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე

რას ვიღებთ და რას ვიგებთ წიგნებიდან

წიგნი ცოდნის წყაროა. წიგნის დახმარებით შეგვიძლია ვიმოგზაუროთ მრავალფეროვან სამყაროში, გადაგვხვდეს უამრავი საინტერესო თავგადასავალი. ადამიანი წიგნის კითხვით იძენს ცოდნას სამყაროს, საკუთარი თავის შესახებ და განიცდის ინტელექტუალურ სიამოვნებას.

კითხვა ხელს უწყობს ზოგადად კითხვის მიმართ ინტერესსა და წიგნის სიყვარულის გაღვიძებას, ასევე კითხვა ეხმარება მოსწავლეს ცოდნის შეძენასა და დაგროვებაში.

წიგნის კითხვა ფუნდამენტური უნარია, რომელიც განაპირობებს ბავშვის წარმატებას სკოლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბავშვის მოტივაცია და მიღწევები გაუმჯობესდება მაშინ, როცა მშობლები და აღმზრდელ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ მისი წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

მწერალ კარლო გოლდონის ერთ-ერთი ცნობილი გამონათქვამია: „ადამიანი კარგი წიგნით ხელში არასოდეს მარტო არ იქნება“.

წიგნი ადამიანის საუკეთესო მეგობარიცაა. ის ადამიანს აძლევს რჩევას, ის ეხმარება დაძლიოს სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულეები. ის უკვალავს გზას ადამიანს. ის გვასწავლის როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან რა არის კარგი და რა — ცუდი.

სასურველია, რომ წიგნის კითხვის სიყვარული ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ჩაუნერგოს მშობელმა, სკოლაში კი — მასწავლებელმა.

ასე რომ, ბავშვისათვის ორივე გარემო, სკოლა და სახლი, ერთმანეთის ხელშემწყობ და წიგნის კითხვისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს. მე მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, ისინი მუდამ ცდილობენ მე და ჩემს ძმას ჩვენი ასაკისათვის შესაფერისი ლიტერატურა შეგვირჩიონ. მე და ჩემი ძმა უკვე კარგი მკითხველები ვართ.

თამუნა ქუშაშვილი, გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე

გვიანი შემოდგომა

ნახატი მარიამ სუჯაშვილისა VII კლასის მოსწავლე

რას გვეტყვით მამაო?

მიცვალებულთა შესახებ (გაგრძელება)

როგორ უყურებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მიცვალებულის კრემაციას?

„მიწა ხარ და მწიად იქეც“ — ასეთია ადამიანის ამქვეყნიური ყოფნის დასასრულის ბიბლიური განჩინება.

ეს არის საფუძველი იმისა, რომ ადამიანი მიწას მივაბაროთ. თუკი სიკვდილის დროს მას დაწვავენ, რასაკვირველია, გარდაცვლილს არ მოეკითხება, მაგრამ ღვთის წინაშე სცოდავენ ამ საქციელის ჩამდენნი.

აუცილებელია თუ არა, როცა შინ ვლოცულობ, მიცვალებულებისათვის ცალკე სანთელი დავანთო?

არ არის აუცილებელი, თუ წარმოვთქვამთ ისეთ ლოცვას (მაგალითად, დილის ლოცვები), რომლებშიც ცოცხლებისა და მიცვალებულებისათვის ერთნაირად ვლოცულობთ, შეგვიძლია ერთი სანთელიც დავანთოთ.

ძალიან დიდი ხნის წინ გარდამეცვალა მამა, რომელიც დედინაცვალთან არის დასაფლავებული. ახლა მინდა იგი დედაჩემის გვერდით გადმოვასვენოთ, სადაც მეც დავიკრძალები. რამდენად ქრისტიანულია ეს?

ძველი საფლავიდან ახალ საფლავზე მიცვალებულის გადასვენება აკრძალული არ არის.

მართალია თუ არა, რომ მიცვალებულის სურათი ერთი წლის შემდეგ უნდა ამოვიღოთ ჩარჩოდან, ანდა თვით ჩარჩო გავჭრათ, რათა მიცვალებულის სული გათავისუფლდეს, რომ ცოცხლებზე ცუდი ზეგავლენა არ მოახდინოს?

ეს მოსაზრება ხალხის ფანტაზიით ნასაზრდოები ცრურწმენაა, მწუხარების დროს ცრურწმენა მძლავრობს და ადამიანი მიცვალებულთან დაკავშირებულ ყოველ ნივთს განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს. როგორ შეიძლება, ასეთი რამ ეკლესიას კანონით ჰქონდეს დაწესებული?

რატომ არის გარდაცვლილის ოჯახში ჭიშკარი ღია, ეს ქრისტიანული ტრადიციაა?

ასეთ შემთხვევაში, ჭიშკრის ღიად დატოვებას საეკლესიო კანონიკასთან არანაირი შეხება არა აქვს. ეს ჩვეულება პრაქტიკული ქცევის წესიდან გამომდინარეობს. ამ დროს ადამიანები ოჯახის თანაგრძნობისათვის და მწუხარების გასაზიარებლად მიდიან და მათ კარი ღია უნდა დახვდეთ.

რა გზას გადის სული კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისათვის?

სულს მართლაც ბევრი დაბრკოლება აქვს გადასალახი. იგი პასუხს აგებს ყველაფრისათვის, რაც ჩაუდენია. ეს დაბრკოლებები ცხოვრებისეული დაბრკოლებების სახით არ უნდა წარმოვიდგინოთ. სულს იქ ჭიშკარი ან ღობე კი არ ხვდება, არამედ უფრო დიდი და სიმბოლური წინააღმდეგობანი. არაერთხელ გვსმენია, თუ რა განსაცდელი ელის საიქიოში გადასული ადამიანის სულს. რამდენიმე წმიდა მამათაც აქვთ გამოცხადებითი სწავლება, სადაც აღწერილია გზა სულისა. ერთ-ერთი ასეთია „თეოდორე კონსტანტინეპოლელის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია, როგორ იხილა გარდაცვალების შემდეგ მორჩილმა თეოდორემ საზეერეები, რომლებსაც სული გაივლის.

რამდენად კანონიერია საერო პირის ეკლესიიან გამოსვენება, რაც დღეს ძალიან ხშირად გვხვდება?

ეს ქრისტიანული ტრადიციაა. საქართველოში ყოველ სოფელსა და სამრევლოს თავისი ეკლესია ჰქონდა. ამ ეკლესიაში აღნიშნავდა სოფელი თავის ჯირსა და ლხინს. ტაძარი იყო ყველა მნიშვნელოვანი ქმედების ცენტრი. ეკლესიაში ეზიარებოდნენ, ინანიებდნენ, იწერდნენ ჯვარს. აქვე ასვენებდნენ მიცვალებულებს და მიაცილებდნენ სამუდამო განსასვენებელში (ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ სოფელში ეკლესია, ძირითადად, სასაფლაოზეა აღმართული). ეს ტრადიცია ცნობილი მიზეზების გამო მოიშალა. საბედნიეროდ, ხალხი ეკლესიას უბრუნდება. მადლობა ღმერთს, რომ ადამიანებს კვლავ გაუჩნდათ სურვილი თავიანთი მიცვალებული წმინდა ადგილიდან გააცილონ.

როგორ უნდა აღინიშნოს გარდაცვალების წლისთავი?

გარდაცვალების წლისთავი რაიმე განსაკუთრებული დღე არ არის სულისათვის. მისი აღნიშვნა ტრადიციაა და კარგი ტრადიციაც. ამ დღეს ვლოცულობთ მიცვალებულისთვის. მოვიხსენიებთ მას. ლოცვები სულს ყოველთვის ეხმარება იმქვეყნიურ ცხოვრებაში განსამტკიცებლად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

იბეჭდება 2005 წლის „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემული კითხვების კრებულიდან „რას გვეტყვით, მამაო?“

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ ფიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი